



## მოსკოვში კეთილმსახური მთავრის ალექსანდრე ნეველის ძეგლი გაიხსნა



2021 წლის 1 სექტემბერს მოსკოვში კეთილმსახური ალექსანდრე ნეველის ძეგლის გახსნის ცერემონია გაიმართა. ძეგლი დაიდგა საპატრიარქოს მეტოქის ალექსანდრე ნეველის ტაძრის ტერიტორიაზე – რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფო ინსტიტუტთან. პროექტის ავტორია მოსკოველი მოქანდაკე კარენ სარქისოვი.

გახსნის საზეიმო ცერემონიას ესწრებოდნენ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი ს. ვ. ლავროვი, რუსეთის ფედერაციის ფედერალური კრების ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ა. ტურჩაკი, დასავლეთის ადმინისტრაციული ოლქის პრეფექტი ა. ო. ალექსანდროვი, სუმსი-ს რექტორი ა. ვ. ტორკუნოვი, ეკლესიის საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის სინოდალური განყოფილების თავმჯდომარე ვ. რ. ლეგოიდა, რუსი ჟურნალისტი და ტელენამყვანი, ძეგლის დადგმის სამეურვეო საბჭოს წევრი ე. გ. პოპოვი, სუმსი-ს საერთაშორისო ჟურნალისტიკის

ფაკულტეტის დეკანი ია. ლ. სკვორცოვი, წმინდა ალექსანდრე ნეველის ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი იგორ ფომინი, ასევე სუმსი-ს მასწავლებლები და სტუდენტები, ტაძრის მრევლი და მრავალი სტუმარი.

ძეგლის საზეიმო გახსნის მონაწილეებისადმი მიმართვისას ს. ვ. ლავროვმა აღნიშნა, რომ ალექსანდრე ნეველი იყო დიდი სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც პირველ რიგში ფიქრობდა თავისი ქვეყნის სახელმწიფოებრიობაზე, მისი კულტურული და რელიგიური კოდის შენარჩუნებაზე, ამასთანავე საკუთარ თავში მხედართმთავრისა და დიპლომატის თვისებები ჰქონდა შერწყმული.

„ჩვენ ნეველის ტრადიციების სულისკვეთებით, ვენაფვით რა მის გაკვეთილებს, მზად ვართ კომპრომისის მოსაძებნად. მაგრამ ამისთვის უნდა დავსხდეთ მაგიდასთან და სამართლიანად და თანაბარუფლებრივად მოვილაპარაკოთ. მთავრის ეს ანდერძი ყოველთვის დარჩება ჩვენი საგარეო პოლიტიკის საფუძველში“, – ბრძანა რფ-ის სსს-ის მეთაურმა, და აღნიშნა, რომ ალექსანდრე იაროსლავის ძეს შეეძლო ინეტერესების ბალანსი ეპოვნა, რომელიც სავსებით მისაღები იყო როგორც მისთვის, ისე მისი პარტნიორებისთვის.

ა. ა. ტურჩაკმა ხაზი გაუსვა, რომ „ალექსანდრე ნეველის სიტყვები სამუდამოდ დარჩა მატეანეში, ჩვენს მესხიერებაში – „ღმერთი ძალაში კი არა, არამედ სიმართლეშია,“ და სანამ სიმართლე ჩვენთანაა, ჩვენი ქვეყანა დაუმარცხებელია“. სენატორმა წმინდა ალექსანდრე ნეველის ტაძარს ხატი გადასცა, რომელიც შესრულებულია განსაკუთრებული რელიეფური ტექნიკით, რაც მას მხედველობა დაქვეითებულთათვის ხელმისაწვდომს ხდის.

ე. გ. პოპოვმა ადგილობრივ მოსახლეობას მადლობა გადაუხადა, რომელთა „სამოქალაქო აქტივობამ ... შესაძლებელი გახადა ძეგლის გახსნა საკმაოდ მოკლე დროში“, და აღნიშნა მნიშვნელობა იმისა, რომ „ხალხი კვლავ უბრუნდება იმ ანდერძებს, რომლებიც დიდმა მთავარმა დაგვიტოვა; მისი მთელი ცხოვრება არის – სამშობლოს მსახურების ნათელი მაგალითი“.

ძეგლისა და გადაცემული ხატის კურთხევის წეს-განგება ალექსანდრე ნეველის ტაძრის კლირიკოსმა, მღვდელმა ალექსანდრე კუზნეცოვმა შეასრულა.

გახსნის ცერემონიის შემდეგ, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა და სხვა საპატიო სტუმრებმა ძეგლი ყვავილებით შეამკეს.

მოსკოვის საეპარქო ეპარქიის,

ეკლესიის საზოგადოებასთან და მასმედიასთან  
ურთიერთობის სინოდალური განყოფილებისა და სუმსი-ს

საიტების მასალების მიხედვით

---

წყარო: <https://mospat.ru/ge/news/87954/>